აქ არის წმინდა ექსპლოატატორების ელემენტი, ეს არის წვრილ ბურჟუაზიული ელემენტი, რომელიც ამ მთავარ კლასიურ ჯგუფს გარშემოხვეული და ასე ვსთქვათ მისით სარგებლობს და საზრდოობს. „გარდა ამისა ჩვენში ბევრია თავად-აზნაურული ელემენტი, რომელიც დიდათ დაზარალებული გამოვიდა აქედან. თავის თავად ცხადია, რომ პატარა სახელმწიფოში ყველა ეს ჩამოყალიბდა არსებულ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ე. ი. შრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ყველა ეს აპოზიციებული ელემენტი, თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია, ვაჭრები და სხვა ესენი ყოველთვის იმის ცდაში და მოლოდინში უნდა ყოფილიყვენ, რომ მოხერხებულ დროს ამდგარიყვენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, სასიკვდილო ლახვარი ჩაეცათ მისთვის. ასეთი დრო დადგა აგვისტოში და მთელი ეს ელემენტები დაწყებული თავად-აზნაურობიდან და გათავებული წვრილ ვაჭრებით და სამღვდელოებით, მთელი ეს ელემენტი ადგა ძალაუფლების წინააღმდეგ.

მე მგონია, პირდაპირ საგანგებოთ იყო გამოგონილი ზოგიერთი ლოზუნგები, რომ ყველა სხვადასხვა ძალა, ელემენტი, რომელიც შეჯგუფებული იყვენ, თავს იყრიდენ აჯანყების გარშემო, ყველა ეს ელემენტი დაეკმაყოფილებიათ. სხვანაირად არ შემიძლია ავხსნა ასეთი ლოზუნგი: „ვუმარჯოს ქრისტიანებს“. ეს სპეციალური ლოზუნგი იმისათვის, რომ სამღვდელოება ჩაეთრიათ ამ ბრძოლაში.

მე მგონია ეს ლოზუნგიც რომ არ ყოფილიყო გადასარული, სამღვდელოება იმდენათ იყო შეშფოთებული არსებული ხელისუფლებით, რომ ის ულოზუნგოთაც მიეხმარებოდა აჯანყებას. ამიტომ ამ ელემენტებმა შექმნეს ერთგვარი სანახაობა, მასიური ხალხისნაირი მოძრაობა. მე არ უარვყოფ, რომ ამ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა გლეხების ერთი ნაწილიც და ეს სრულიად ადგილი ასახსნელია. რამდენათ საქართველოში შესაძლებელი იყო, მათ დაურიგდათ მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიგ აქა-იქ იყვენ შევიწროვებული. ასე რომ შესაძლებელია ამ ფაქტმა თავისი როლი ითამაშა იმით, რომ გამოეყვანა გლეხკაცობის ნაწილი, რომელიც მიემხრო, ასე ვთქვათ, აჯანყებას.

მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ამ მოძრაობას არ ახასიათებს ეს. ეს არის უეჭველად შემთხვევითი ელემენტი, ვინაიდან როგორც აგხსენით ეს ჩვენ წარსულ ბაზაში, ქართველ გლეხკაცობას კარგი არაფერი არ ახსოვს მენშევიკურ მთავრობისაგან, ისე როგორც აგრარულ საკითხში, აგრეთვე სხვა საკითხებში.

ჩვენ ღრმა რწმენით, თუ იყო უკმაყოფილება გლეხკაცობაში, ეს უკმაყოფილება იყო დაბადებული ადგილობრივ ძალა-უფლების წარმომადგენლების უხეში და ხშირად უდიერი მოპყრობით. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

მაგრამ ამ მოძრაობას ახასიათებს უმთავრესად ელემენტი თავად-აზნაურობის, სამღვდელოების, ვაჭრების, მწარმოებლების, ოფიცრების და სხვა ასეთის მონაწილეობა, აი უმთავრესი მასა, რომელიც გამოვიდა ხეთისუფლების წინააღმდეგ. მათ მოდევდა რამოდენიმე ნაწილი გლეხკაცობის, უკმაყოფილო, ხშირად მოტყუებული შესაძლებელია, მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს სრულებით არ ახასიათებს მთელ ამ მოვლენას.

აქ საქმეში გაფანტულია სხვადასხვა საბუთები, რომ ამ აჯანყების დროს ხშირად იყო ძარცვა-გლეჯა, მაგრამ დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ ძველი მესაკუთრეები შედიან თავის სახლებში და იძახიან: „აქედან ვეღარ გაგვდევნით, ეს ეხლა ჩვენიაო“. რაც შეეხება რევოლიუციონურობას, ამ აჯანყებაში ცოტა ადგილი ჰქონდა მას. პირდაპირ პაგრომულ ხასიათს ღებულობენ ეს გამოსვლები. რით აიხსნება მაგალითად ის, რასაც ადგილი ჰქონდა სენაკში, რომ გამოსვლების დროს ლენინის ბიუსტი დალეწეს, დალეწეს მარქსის ბიუსტი, მაგრამ აქვე დალეწეს რუსთველის ბიუსტიც.

მართალია, შეგნებული მუშები როგორც მაგალითად ბრალდებული შენგელაია, რომელსაც მე ვუჯერი, ამბობს, რომ ის აჩერებდა ასეთ მოქმედებიდან ხალხს, ასევე სჩადიოდენ ზოგიერთი სხვები, მაგრამ ეს არ სპობს იმ ხასიათს, რომელსაც მე ხაზს ვუსვამ.

რა საშუალებით იბრძოდა პარიტეტული კომიტეტი

მე დამტკიცებულად მიმაჩნია ის ბრალდებები, როგორიც არის ექსი და ტერორი.

მე იმაზე არ გავჩერდები. მე მოვიყვან მხოლოდ ცალკე მაგალითებს. აი მაგალითად. ბრალდებული მუშა კახიანი. ვინ არის კახიანი: ეს არის მუშა, მე არ შემდის იქვი მის პატიოსნებაში და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პატიოსანი მუშა მთელი თავისი სულითა და გულით იყო მინდობილი თავის პარტიაზე. ამ პარტიის კარნახი იყო მისთვის წმინდათა წმინდა. მას სჯეროდა და შეიძლება ახლაც სჯერა, რომ მისი პარტია მიილტვის მიზნებისაკენ, სადაც უნდა მოხდეს პროლეტარიატის განთავისუფლება.

მაგრამ შეეძლო განა მუშა კახიანს გადაეწყვიტა სერიოზული, კარდინალური საკითხი, რომელიც პარტიის პოლიტიკურ ხასიათს შეეხება? მე ვამბობ, რომ ეს მას არასოდეს არ შეეძლო. მე წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ასეთი დიდი საკითხი კახიანმა თავისი ნებით გადაწყვიტოს. მუშა კახიანი თავისი ჩვენებაში ამბობს: „გამოსვლების დროს ჩვენ უარს არ ვიტყვით ბანდიტების გამოყენებაზედაო“. ასეთი ფრაზის თქმა კახიანს არ შეეძლო. ეს ჭქონდა მას უეჭველად გაგონილი უფროსი ამხანაგებისაგან, რომ გამოსვლების დროს ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ ბანდას, მიუხედავად ამისა, თუ რანაირი ხასიათის არის ეს ბანდა. ამიტომ არის, რომ მუშა კახიანს ბანდების გამოყენება აჯანყების დროს დასაშვებლად მიაჩნია.

ავიღოთ მეორე მაგალითი. მუშა ძაძამია. ის აწყობს ექვს მატარებლებზე თავდასხმას. მე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არასდროს ის ძველი მენშევიკი, პარტიის წევრი, მუშა, რომელიც თავის კლასიურ მორალს ატარებს თავის არსებაში, პასაჟერების გაძარცვას, მათი ჯიბეების გადმოტრიალებას, მათი საკუთრების, მათი ფულის ხელში ჩაგდებას ვერასო დეს ვერ გადასწყვეტს. აქ იყო დავალება უეჭველად ან პარტიის ან პარიტეტულ კომიტეტის. ამის შემდეგ შეეძლო ძაძამიას შეექმნა თავის მსგავსი მუშებისაგან ჯგუფი, წასულიყო სამარცხვინო, მაგრამ თავგანწირულ საქმეზე.

აქ ორივე მუშა კახიანიც და ძაძამიაც მოქმედებენ პარტიის განსაკუთრებულ დირექტივებით. მათ აქვთ სერიოზული საქმე, რომელსაც შეეძლია დაღუპოს რეპუტაცია იმ პარტიის, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, ამიტომ ასე დიდს საკითხს ვერც ერთი თავისით ვერ გადაწყვეტენ და ეს ჩემთვის საეჭვებით დამტკიცებულია. ამაზე ამტკიცებენ ის ფაქტებიც, რომელიც თვენ გადაგიშალა სახელმწიფო ბრალმდებელმა. ჩემთვის საკმარისია ეს ორი მაგალითი, ორი ძველი მუშა აცხადებს სასამართლოს წინაშე, რომ ეს ჩვენთ გადაწყვიტეთ, მაგრამ ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია.

აწარმოებდა თუ არა პარიტეტული კომიტეტი ტერორს? ვთქვათ ეს საკითხი გამოურკვეველია, დამტკიცებული არ არის. მაგრამ მე დამტკიცებულად მიმაჩნია, რომ სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ მოკლა გიორგაძე, ნაც.-დემოკრატიულმა პარტიამ მოკლა მისბიშვილი და მესამე ის, რომ ეს ორივე მკვლელობა სხვადასხვა პარტიის დავალებით, სხვადასხვა მოკლა ქის, შეასრულა ერთმა კაცმა—კოლეგიშვილმა.

აქ სრულებით უბრალო მათემატიკური და ლოგიკური ანგარიში არის საჭირო, რომ 2 პარტიამ შემაგალ პარიტეტულ კომიტეტში, განიხრახა დაესაჯა 2, მათი აზრით, მოღალატე წევრი, და ამას ანდობენ ერთდროიმად კაცს. თავის თავად ცხადია, აქედან არის ერთი ლოგიკური დასკვნა, რომ პარიტეტული კომიტეტი იღებდა მონაწილეობას ამ ტერორისტულ აქტში. მე სრულებით არ მინდა იმის თქმა, რომ ვინმე აქ მჯდომი პერსონალურად, ან კოტე ანდრონიკაშვილი, ან ჯავახიშვილი, ან ქარცივაძე, რომელიც ბრალდები იღებდა მონაწილეობას ამ ფაქტში. შესაძლებელია მათ არც იცოდენ. მე ისიც მჯერა ვთქვა, რომ არ იცოდენ. მოხდება ხოლმე ამნაირად, რომ პარიტეტულ კომიტეტთან დაახლოვებული რომელიმე პარტიის წარმომადგენელი არ არის ჩახედული ყველა იმ საქმეებში, რაც მის ირგვლივ ხდება.

თავის თავად ცხადია პერსონალურად არ ვსვამ საკითხ', რომ იმ ორგანიზაციამ, რომელსაც ეწოდება სახელად პარიტეტული კომიტეტი, დაისვა მიზნათ და მეთოდათ ისეთი ბრძოლა, როგორიც არის ექსპროპრიაცია, ბანდა და ტეროორი. მე ვსვამ საკითხს მხოლოდ იმის შესახებ, რომ საზოგადოთ მენშევიკური პარტიის პოლიტიკა გადახლართულია იმპერიალისტურ პოლიტიკასთან, დაამდენათ ეს შესაძლებელი იყო, რამდენათ ამ პოლიტიკას გავლენა ჭქონდა საქართველოს ტერიტორიაზე, იმდენათ უკავშირებს მას და აქ სრული თანხმობა და ჰარმონია იყო.

ამის შესახებ მე მოვიყვან მრავალ ფაქტს. აქ ამ მასალებში, რომელიც ჩართულია საქმეში და აგრეთვე ჩვენებიდან წითელი ზოლით არის გატარებული ერთი აზრი.

„აჯანყების მოსაწყობად უნდა გამოვიყენოთ შინაური და გარეშე გართულებანი საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობაში“. Надо использоват благоприятныя условия.

აი ასეთი კარნახი არის საზღვარგარეთიდან ადგილობრივ მომუშავეებისადმი და დირექტივები ასეთი აზრით არის გამსჭვალული. გამოყენება ისეთი პირობების, როდესაც საბჭოთა მთავრობა ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, რომ მას როგორც შიგნით, ისე გარეთ დაუბირისპირდება ბერის ძალა.

მე ვამბობ, რომ ეს გაგრძელებაა იმ პოლიტიკის, რომლის შესახებ აქ მე ვილაპარაკე, რომ ეს არის თავის თავად სრულიად იმპერიალისტური პოლიტიკა.

აი წარმოიდგინეთ თქვენ რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ის იქნება იმპერიალისტური, იმიტომ, რომ სხვა სახელმწიფო ევროპაში არ არსებობს, ის უცხადებს რუსეთს ომს, იქნება ეს პოლონეთი, საფრანგეთის კარნახით თუ სხვა სახელმწიფო—სულ ერთია აქ იწყება საომარი სამზადისი. ცხოვრება გამოდის კალაპოტიდან. იწყება შეხლა-შემოხლა ძალთა და ეს ნიადაგი იძლევა საშუალებას კონტრ-რევოლიუციამ დაიწყოს მოძრაობა. როდესაც შინაური კონტრ-რევოლიუცია და გარეგანი ძალა მიადგება რუსეთს დასახჩობამ, მენშევიკები იძლევიან დირექტივებს: „აი, ისარგებლეთ ამ მომენტით და მაშინ ჩაეცით ხანჯალი საბჭოთა მთავრობას ზურგშიო“.

უბრალოდ რომ ვსთქვათ, ეს არის ფაქტიკა, რომელიც აღიარებულია იმპერიალისტურ პოლიტიკათ, რომელიც აშენებულია კონტრ-რევოლიუციის და ევროპის რეაქციის პოლიტიკაზე. ვსთქვათ გაიმარჯვა რეაქციონურმა ძალამ. შემდეგ რა მოელის აქედან საქართველოს? რასაკვირველია, არა ის „დემოკრატიული“ რესპუბლიკა, რომლის შესახებ ლაპარაკობენ მენშევიკები.

იყო თუ არა ინტერვენციის მსადება

ერთ-ერთ საბრალმდებლო მუხლში წამოყენებული არის მუხლი ინტერვენციის შესახებ. ბრალდებულები სცდილობენ, რომ ეს თავიდან აიცილონ, რომ არავითარი ინტერვენცია, არავითარი პოლიტიკა და სამზადისი ინტერვენციის მოსაწყობათ არ გვქონდაო.

ბაგრამ ეს არ არის დასაჯერებელი იმიტომ, რომ ჩვენ გავიხსენეთ ფაქტი მენშევიკური მთავრობის და მენშევიკური პარტიის წარსულიდან და მივედით იმ დასკვნამდე, რომ, როცა მენშევიკური პარტია მთავრობას წარმოადგენდა, მაშინ ისინი აწყვედენ იმპერიალისტებს საქართველოში და ორჯერ მისცეს ოკუპანტებს მათი რეჟიმის განმტკიცების უფლება.

ერთად ერთი მიზეზი, რომლითაც ხსნიდენ ამ გარემოებას, მდგომარეობდა შიშში ბოლშევიკების წინააღმდეგ. და თუ მაშინ, როცა მენშევიკური პარტია წარმოადგენდა მთავრობას, როცა მის ხელში იყო იარაღი, ყოველნაირი საშუალება, თუ მაშინ ბოლშევიკების წინააღმდეგ ისინი ეხვეწებოდენ მუდამ ჟამს თავისი ნოტებით როგორც ინგლისს, ისე საფრანგეთის მთავრობებს, ელოდენ მაოგან დახმარებას იარაღით, დახმარებას მატერიალურს, ეს თუ იყო მაშინ, შეუძლებელი რა არის, რომ, როდესაც ისინი დამარცხებული შეიქნენ და სცდილობენ ძალა-უფლების აღდგენას, მიემართოთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის და ეთხოვათ მათთვის დახმარება მატერიალური, დახმარება იარაღით, დახმარება ფულით თქვენ გემახსოვრებათ ის წერილები, თუ ერთი წერილი, რომელიც მოთავსებული იყო „თავისუფალ საქართველოში“, სადაც ამკარად და სრულიად მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ „თქვენ, დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოებო, თუ მთავრობებო—მე ეს ბანდა მოვიყვანო სწორათ, ეს ციტატა,—თუ გზებავთ ბაქოს ნავთი, იცოდეთ, რომ გზა ბაქოს ნავთისკენ საქართველოზე არის და საქართველოს დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის, „ვინც კი ბაქოს გაუწვდის ხელსო. სულ ერთია ვინც იქნება, საფრანგეთი, ამერიკა, ინგლისი, სათათრეთი, სულ ერთია, ვისაც ნავთი უნდა, ვისაც ნავთის სუნი უცი-ტენებს ცხვირში და სიამოვნებას გვრის, მან უნდა იცოდეს, რომ გზა საქართველოდან არის“.

მე თქვენ მოგახსენებთ, რომ ასეთი ცინიკური ფრაზა არც იმპერიალისტურ პრესაში წამიკითხავს, არის აქ რაიმე არა თუ სოციალისტის, პროლეტარიატის, არამედ უბრალო დემოკრატიული პრინციპის? რასაკვირველია, სრულებით არაფერი, ეს არის ნამდვილი იმპერიალიზმი. რასაკვირველია არა იმ მასშტაბით, როგორც საზოგადოთ წარმოსადგენია, მაგრამ პატარა ქვეყნებისათვის საკმარისი იმპერიალიზმი. საქართველო უნდა გადადაქცეს შარა გზათ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებისათვის, ნავთის გზათ. რასატეტთან დაახლოვებული რომელიმე პარტიის წარმომადგენელი არ არის ჩახედული ყველა იმ საქმეებში, რაც მის ირგვლივ ხდება.

თავის თავად ცხადია პერსონალურად არ ვსვამ საკითხ', რომ იმ ორგანიზაციამ, რომელსაც ეწოდება სახელად პარიტეტული კომიტეტი, დაისვა მიზნათ და მეთოდათ ისეთი ბრძოლა, როგორიც არის ექსპროპრიაცია, ბანდა და ტეროორი. მე ვსვამ საკითხს მხოლოდ იმის შესახებ, რომ საზოგადოთ მენშევიკური პარტიის პოლიტიკა გადახლართულია იმპერიალისტურ პოლიტიკასთან, დაამდენათ ეს შესაძლებელი იყო, რამდენათ ამ პოლიტიკას გავლენა ჭქონდა საქართველოს ტერიტორიაზე, იმდენათ უკავშირებს მას და აქ სრული თანხმობა და ჰარმონია იყო.

ამის შესახებ მე მოვიყვან მრავალ ფაქტს. აქ ამ მასალებში, რომელიც ჩართულია საქმეში და აგრეთვე ჩვენებიდან წითელი ზოლით არის გატარებული ერთი აზრი.

„აჯანყების მოსაწყობად უნდა გამოვიყენოთ შინაური და გარეშე გართულებანი საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობაში“. Надо использоват благоприятныя условия.

აი ასეთი კარნახი არის საზღვარგარეთიდან ადგილობრივ მომუშავეებისადმი და დირექტივები ასეთი აზრით არის გამსჭვალული. გამოყენება ისეთი პირობების, როდესაც საბჭოთა მთავრობა ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, რომ მას როგორც შიგნით, ისე გარეთ დაუბირისპირდება ბერის ძალა.

მე ვამბობ, რომ ეს გაგრძელებაა იმ პოლიტიკის, რომლის შესახებ აქ მე ვილაპარაკე, რომ ეს არის თავის თავად სრულიად იმპერიალისტური პოლიტიკა.

აი წარმოიდგინეთ თქვენ რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ის იქნება იმპერიალისტური, იმიტომ, რომ სხვა სახელმწიფო ევროპაში არ არსებობს, ის უცხადებს რუსეთს ომს, იქნება ეს პოლონეთი, საფრანგეთის კარნახით თუ სხვა სახელმწიფო—სულ ერთია აქ იწყება საომარი სამზადისი. ცხოვრება გამოდის კალაპოტიდან. იწყება შეხლა-შემოხლა ძალთა და ეს ნიადაგი იძლევა საშუალებას კონტრ-რევოლიუციამ დაიწყოს მოძრაობა. როდესაც შინაური კონტრ-რევოლიუცია და გარეგანი ძალა მიადგება რუსეთს დასახჩობამ, მენშევიკები იძლევიან დირექტივებს: „აი, ისარგებლეთ ამ მომენტით და მაშინ ჩაეცით ხანჯალი საბჭოთა მთავრობას ზურგშიო“.

უბრალოდ რომ ვსთქვათ, ეს არის ფაქტიკა, რომელიც აღიარებულია იმპერიალისტურ პოლიტიკათ, რომელიც აშენებულია კონტრ-რევოლიუციის და ევროპის რეაქციის პოლიტიკაზე. ვსთქვათ გაიმარჯვა რეაქციონურმა ძალამ. შემდეგ რა მოელის აქედან საქართველოს? რასაკვირველია, არა ის „დემოკრატიული“ რესპუბლიკა, რომლის შესახებ ლაპარაკობენ მენშევიკები.

22 ივლისს, 21 წელს, „ტანი“, ოფიციოზი საფრანგეთის მთავრობისა, ამბობს: „ბოლოს-ალე ბრიანმა დღეს დილით მიიღო ოთხი წარმომადგენელი კავკასიის სახელმწიფოებისაო, რომელთა ტერიტორიები დღეს ბოლშევიკების ხელშიაო“. მთავრობები, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებიან, შეურჩენიათ მჭიდრო კავშირი თავის ერებთან. ეს წარმოადგენელები იყვნენ: აგარონიანი—სომხეთის, თომჩიბაშვილი—აზერბაიჯანის, ავალიშვილი—საქართველოსი და ჩერმოვი—ჩრდილოკავკასიის. მაგრამ, სანამ ამ რესპუბლიკების წარმომადგენლები ბრიანთან ზვიდიდენ, თათბირი ჰქონდათ ტერეა-დელარუასთან. ამ დელეგაციის ვიზიტს აქ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იმიტომ, რომ ისინი გამოცხადდნენ მოსალაპარაკებლად და ასთან ერთად მიაღწიეს მიზახს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მათი ქვეყნებისათვის. დეკლარაცია ამ რესპუბლიკების შესახებ ხელმოწერილი იყო 10 ივლისს, პარიზში. მთელი საფრანგეთის პრესა ამის ირგვლივ ალაპარაკდა. და ყოველად შეუძლებელია, რომ ეს დოკუმენტი დავაყენოთ ეჭვის ქვეშ და აი ასეთ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ: მუსავატელები, მენშევიკები, ნაციონალ-დემოკრატები; ყველა ამ პარტიების წარმომადგენლებს მოლაპარაკება ჰქონდათ ბრიანთან ა ლუშერთან, რომ რამენაირად ეს მთავრობა დახმარებოდა მათ რესტავრაციის საქმეში.

ესთქვათ ჩხენკელის და სხვების მოლაპარაკება ლუშერთან და ბრიანთან დაგვირგვინდა მათ სასურველად. რა შედეგი მოყვება ამას საქართველოსათვის ადვილი წარმოსადგენია. ეს შედეგი იქნება ისრომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ საქართველო გადაიქცეოდა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ჯალონათ. შეიქნენეოდა ისეთი მდგომარეობა საქართველოში, რომ, გორიც არის - ყველა კოლონიებში, რომელნიც საქართველოსთან შედარებენ საბჭოთა ხელისუფლებასთან - ერეკინ - ეგერი - ეგერი - არის - როგორც კულტურული მხრივ, ისე ხალხის რაოდენობის მხრივ, მაგრამ, რომელნიც თავს ვერ ასწევენ იმპერიალის

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲕᲔᲚᲝᲢᲝᲜᲘ

ᲙᲝᲞᲔᲠᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲘᲪᲔ ᲓᲐ ᲐᲤᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲙᲐᲪᲠᲔ

„ᲩᲕᲔᲜ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠᲪ ᲒᲕᲣᲭᲠᲝᲑᲓᲘᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲐᲖᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓᲔ, ᲗᲣ ᲕᲘᲜᲘᲪᲝᲑᲐᲐ ᲘᲒᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲕᲘᲜᲓᲔᲛᲓᲔ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ. „ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲐ“ ᲓᲐ „ᲐᲚᲔᲑᲐ“ ᲙᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲓ, ᲕᲐᲨᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲛ ᲕᲐᲨᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲚᲔᲑᲐ“...

(ᲡᲣᲠᲗ ᲓᲔᲓᲐᲠᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲓᲐᲜ)

ᲙᲝᲞᲔᲠᲜᲘᲙ, ᲨᲔᲜ ᲒᲔᲡᲛᲘᲡ, ᲙᲝᲞᲔᲠᲜᲘᲙ,
ᲠᲐ ᲔᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲨᲔᲜᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡᲗ?!
ᲛᲗᲘᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲑᲜᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲩᲥᲠᲐᲕᲔᲜ ᲢᲚᲘᲜᲔᲑᲡ
ᲓᲐ ᲛᲝᲭᲧᲝᲕ ᲨᲔᲜ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡ,
ᲠᲝᲛ ᲬᲘᲡᲘᲐ ᲓᲐᲘᲠᲔᲓᲐ, ᲗᲣ ᲔᲠᲐ,
ᲛᲗᲘᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲔᲛ ᲕᲮᲘᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ?
ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲣ ᲒᲯᲔᲠᲐ,
ᲕᲐᲨᲚᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲔᲚᲜᲐᲖᲔ ᲛᲘᲬᲧᲝᲑᲘᲡ,
ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲫᲘᲠᲔᲑᲐ
„ᲓᲐᲕᲐᲠᲓᲔᲚᲜᲐ“-„ᲐᲦᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ
ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲔᲚᲜ-ᲔᲚᲜᲐ ᲛᲝᲛᲫᲘᲠᲔᲑᲐ,
ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ ᲐᲬᲘᲓᲔᲑᲐ ᲝᲗᲮᲔᲑᲡ...
„ᲨᲔᲛᲝᲨᲕᲘ“, ᲘᲗᲮᲔᲚ...—„ᲠᲐ ᲛᲝᲒᲐᲤᲘᲡ“?
—„ᲓᲐᲕᲐᲠᲓᲔᲚᲜᲐ“-„ᲐᲦᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ!“...
„ᲐᲦᲔᲑᲐ“, ᲒᲔᲮᲓᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲡᲐ ᲰᲒᲐᲕᲡ,
„ᲓᲐᲕᲐᲠᲓᲔᲚᲜᲐ“ ᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲒᲐᲜᲘ!...
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲮᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲘᲐ:
ᲓᲐᲡᲪᲔᲡ ᲫᲘᲠᲘ, ᲐᲘᲦᲛ „ᲬᲐᲘᲦᲛ“.
ᲗᲣ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲬᲧᲠᲐᲚᲘ ᲦᲛᲠᲗᲘᲐ
ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲔᲘᲔᲠ ᲒᲐᲘᲒᲛ?!
ᲩᲘᲛᲗᲘᲡ ᲙᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ:
ᲨᲔ ᲛᲘᲗᲕᲓᲔᲒ ᲤᲝᲗᲮᲘᲙᲣᲠ ᲙᲐᲜᲔᲑᲡᲐ!...
ᲐᲛᲐᲓ ᲓᲠᲝᲡ, ᲗᲐᲤᲐᲜᲒᲨᲘ ᲛᲔᲚᲘᲐ
ᲗᲣ ᲛᲝᲡᲘᲩᲜᲔᲡ, ᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲪ ᲛᲐᲚᲝᲜᲒᲡᲐ!..
ᲒᲘᲜ ᲩᲯᲘᲗᲮᲐᲗᲐ, ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ
ᲡᲐᲭᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲪᲐ ᲛᲣᲜᲐᲒᲡᲐ?
ᲗᲣ ᲡᲣᲠᲗᲐ, ᲒᲐᲜᲘ ᲔᲘᲔᲠ ᲣᲐᲠᲐ
ᲓᲐ ᲗᲘᲗᲘ ᲔᲘᲠ ᲛᲘᲮᲓᲐ ᲑᲣᲜᲐᲒᲡᲐ?!.
ᲗᲣ ᲛᲨᲕᲐᲚᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲡᲯᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ
„ᲓᲐᲕᲐᲠᲓᲔᲚᲜᲐ“-„ᲐᲦᲔᲑᲘᲡ“ ᲤᲝᲜᲔᲑᲘᲡ,
ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲖᲐ ᲛᲘᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲣᲯᲧᲝᲑᲓᲐ
ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲝᲜᲒᲘᲡ!..
ᲡᲐᲤᲣᲜᲒᲘᲡ, ᲐᲰᲐ, ᲠᲐ ᲑᲠᲚᲘᲐ.
ᲘᲥᲗᲝᲗ ᲒᲐᲫᲕᲡ ᲨᲔᲜ ᲒᲖᲐ,
ᲗᲣ ᲐᲥᲔᲗᲝᲗ,
ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲡᲪᲐᲚᲐ:
ᲩᲡᲚᲔᲒᲐᲛ ᲤᲘᲤᲚᲘ... „ᲩᲰᲐᲧ“-Ო ᲓᲐ... ᲓᲐᲒᲙᲔᲢᲐᲕᲡ!...
ᲛᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲪᲙᲘᲪᲔ ᲨᲔᲜ ᲛᲔᲠᲔ:
„ᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ“, „ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲐ“, ᲗᲣ ᲐᲠᲐ?
ᲣᲑᲔᲠᲔ, ᲒᲔᲜᲔᲑᲝᲗ, ᲣᲛᲦᲔᲠᲔ,
ᲗᲝᲠᲝᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲡ ᲜᲣ ᲡᲛᲮᲝᲕ, ᲜᲣᲗᲣᲠᲐ!...
ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲮᲐᲤᲐᲜᲒᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲘᲐ
„ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲔᲚᲜᲐ“-„ᲐᲦᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲜᲨᲘ,
ᲗᲣᲛᲪᲐ ᲤᲠᲔᲜᲩᲘ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲪᲘᲐ
ᲓᲐ ᲢᲧᲣᲘᲪ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲜᲐᲒᲐᲜᲨᲘ!...

ᲝᲜᲘᲡᲘᲛᲔ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔ-6 ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲝᲗᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲠᲔᲑᲓᲐ.

ᲝᲠᲝᲖᲣᲜᲒᲘ „ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ“, ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲒᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲜᲓᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ; ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲜᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲬᲔᲓᲔᲑᲓᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲛᲓᲒᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲪᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲐᲡᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ

ქარიფთა ცხოვრება

ააბარგმეს ... ტები აქედან

(ქ. ალმასკომის განათ. განყ. საყურადღებოდ)

კომუნალური ქეჩა № 133-ში (ყოფილი მირზოევის ავარაკი—ორთაჭალა) მოთავსებულია სკოლა-კომუნა, სასოფლო-სამეურნეო აგრანომიული დარგით. ეს სასწავლებელი გაიხსნა 1924 წელს განგ. განყოფილების მიერ, რომლის განზრახვა იყო ახალი კადრი მუშაკების მომზადება სასოფლო-მეურნეობისათვის. ამ სკოლაში ცხოვრობენ და სწავლობენ უპატრონო მოწაფეები (ბავშვები) აქვე სცხოვრობენ ისეთი ახანაგები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნებში. „სკოლა-კომუნაში“ მუშაობა და სწავლა მიმდინარეობს ნორმალურ კალაპოტში. მოწაფეებს მთელი შემადგენლობა ჩაბმულია სხვა წრეებში და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას ცოდნის შეძენაში და სკოლის გაუმჯობესების საქმეში. არის ამ სკოლაში მოწაფეთა აღმასკომი, რომელიც ხელმძღვანელობს პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად სკოლისა და მოწაფეების წინსვლის საქმეს.

მოწაფეები დაუღალავად მუშაობენ და სწავლობენ აგრონომიულ მუშაობას. ყველაფერი კარგად იწარმოების და უფრო მეტი ნაყოფი იქნებოდა მათ მუშაობასა და მეცადინეობაში, რომ აქ ხელს არ უშლიდნენ ზოგიერთი „ეაკბატონები“, რომელნიც ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ, ჯამაგრის ღებულობენ, არ იციან რაში დახარჯონ და ირყვნებიან. მათ ჰბაძავენ გარე—სკოლებში მოსიარულენი—1) სანელნიკოვი ბორის, 2) ზავენ სარკისიანი და 3) ანდრონიკ ოსიპიანი, რომელნიც ხელს უწყობენ ყოველგვარ უმსგავსობას: თვრებიან და მიდიან მთვრალნი სკოლა კომუნაში, ავრცელებენ სკოლაში თამბაქოს მოწევას, ქეზაში დაეხეტებიან, ილანძღებიან, იგინებიან და სხვა.

ეს კი გარეშე მაყურებლებზე და შიგ მყოფ მოწაფეებზე თვის ცუდ გავლენას ახდენს, სცემს პრესტიჟს „სკოლა-კომუნისას“. საჭიროა ეს ყოველად ძაღე ელემენტები შეეცალოთ ქუჩიდან აყვანილ ნიჭიერ ბავშვებით.

ეშმაკის-ფეხი

ფუმფუმის ქარხნის მუშებში

ფუმფუმის ქარხანაში („25 ოქტომბრისა“ სახელობაზე) მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 48 კაცს. ჯამაგრის ვიღებთ თვის დროზე ყოველთვე 1—15 რიცხვებში. ცოტა მცოდნე მუშები იყვნენ გაგზავნილი სკოლებში და პოლიტწრეებში. ყველა მუშები იწერენ გაზეთებს. გამოდის კედლის გაზეთი („ფუმფუმელის ხმა“), რომელშიაც მუშები იღებენ აქტიურ მონაწილეობას. არის მოწყობილი „ლენინის კუთხე“ მუშები ღებულობენ წიგნებს და ჟურნალებს რაიონის ბიბლიოთეკიდან. იმართება მუშების ექსკურსიები სხვა ქარხნებში. ამ ახლო ხანებში ქარხანაში ჩატარდება ტანთვარჯიშთა კამპანია, რომელშიც ჩვენი მუშები ჩამორჩენილი არიან.

ადგილკომი იღებს სხვადასხვა ჟურნალებს და გაზეთს. მუშებმა მიიღეს მანუფაქტურა მუშკოოპიდან ნისიად.

იმართება თვეში ერთხელ საერთო კრება, რომელზედაც ადგილკომი აკეთებს მოხსენებებს თავის მუშაობის შესახებ; ვეცნობებით წარმოების და ქარხნის მდგომარეობას და საქმიანობას და სხ.

მუშა ზუდიტელი.

ცეცხლის მქრობი რაზმი სენაკში

სენაკი პატარა ქალაქია, მაგრამ არ გავა ისეთი წელი, რომ რამოდენიმე ალაგას არ გაჩნდეს ცეცხლი და არ გადაბუგოს მთელი ოჯახები. ეს აიხსნებოდა იმით, რომ სენაკში არ გეყავდა ცეცხლის მქრობი რაზმი. ადგილობრივ მეურნეობას განყ. მიერ მიმდინარე წელს მოწყობილ იქნა მუდმივი ცეცხლ-მქრობი რაზმი. რაზმში მუდმივათ ხუთი კაცია განსაზღვრული თვიური ხელფასით. რაზმს ხელმძღვანელობს თბილისში ცეცხლ-მქრობის კურსებდამთავრებული ამხ. ჩაჩიბაია. რაზმისთვის ჩამოტანილია საკრობი იარაღები. სენაკას მქრომელი მასსა ამ საქმით მეტად კმაყოფილია.

მუშკორი უჩა.

ჩვენს ინვალიდებში

(საინვალიდო სახლი № 3-ის ცხოვრებიდან)

თბილისში არსებობს სულ სამი საინვალიდო სახლი, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი. სახლები იტევენ რამოდენიმე ასეულ ინვალიდს. სახლების მუშაობა ერთის დონით და ერთის ტემპით მიმდინარეობს. მესამე სახლში თქვენ ნახავთ ათასნაირ პროფესიის ხალხს. აქ ნახავთ მწერალს, პოეტს, ხელოსანს, ხარატს, ზეინკალს, (რომელსაც ორი ფეხი არა აქვს და საკუთარ სახეინკლის აწარმოებს), მჭედელს და სხვა მრავალს.

ინვალიდებს შორის სულიერი განწყობილება კარგია. საკმარისია დარჩეთ მათ შორის რამოდენიმე წუთი, რომ ამ სახლში ამ საოცარ ხალხთა შორის იგრძნოთ ის ახალი ცხოვრება, რისთვისაც დღეს იბრძვის მუშათა კლასი. დიახ! მათ არა აქვთ არაფერი კერძო. მათში არ არსებობს განსხვავება. ისინი სწავლობენ, შრომობენ და დადიან ერთად, არიან ერთის მიზნითა და ერთის სულისკვეთით შეპყრობილი. სახლთან არსებობს სხვადასხვა წრე, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სიმებიანი ორკესტრს. იქ ნახავთ კაცს რიალთან, რომელიც ცალი ხელით კლავიშებზე დაფათურებს და უკრავს, ხოლო მეორე ხელით ბორცვებიან ნოტებს აჩჩეს, რომ დაკვრა სწორი გამოვიდეს და მოტივი არ შეცვალოს. იქ ზის კაცი, რომელიც ორივე თვალი ამოცლილი აქვს და რომელიც შესაჩნევად ასრულებს ლოტბარობას, ის ხელმძღვანელობს გუნდს და თითონვე არის ამ გუნდის წევრიც. მთელ ინვალიდებში არის ერთი გასარჩევი ტიპი—ცალფეხა გაგრია (ასე ეძახიან), რომელიც წარმოადგენს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ინვალიდს, გაგრას ცეკვა უყვარს. ინვალიდთა ორკესტრი უკრავს „კომარინსკს“. კაცი, რომელსაც ცალი ფეხი ღა შერჩენია საუცხოოდ თამაშობს ცეკვის გათავების შემდეგ დედას (სახლის გამგეს ასე ეძახიან) მოსთხოვა ერთი ჭიქა ღვინო ჯიღლოს სახით, რაც კმაყოფილდა „დედამ“ აუსრულა. ასევე ხდება მთელ სახლში და მის ირგვლივ და ასეთივეა ყველა ინვალიდები. მათ უყვართ ერთმანეთი და ისინი კმაყოფილი არიან ხელისუფლების მზრუნველობით.

სახლს აქვს საკუთარი ბოსტანი, რომელიც აწვდის ბოსტნეულს სახლსაც და ბაზარსაც.

სახლთან არსებობს სკოლა,—წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრე, რომელსაც ჰყავს ხელმძღვანელი და მსმენელებიც. სახლის მუშაობა კარგ დონეზეა დაყენებული, ყოველ მხრივ.

ვლ. ჯიბლაძე.

გახსენით კლუბი ჩვენთვისაც

(განათლების სახკომატის საყურადღებოდ)

ყველა კავშირებს, წარმო-დაწესებულებებს და აგრეთვე თბილისის პოლიტხნიკურ ინსტიტუტს აქვთ თავიანთი კლუბი გახსნილი, მაგრამ თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტს, სადაც რამდენიმე ათასი ახალგაზრდა სტუდენტობაა, არა აქვს ასეთი. მათ კი ეს კლუბი მოუტანდა დიდ სარგებლობას, საამისოდ შენობაც უკვე მიჩნეულია. სტუდენტობა ჩაბმულია საერთო კულტურულ მუშაობაში და საზოგადოება მიეცემა განვითარდნენ როგორც პოლიტიკურ, ისე პროფესიონალურ ნიადაგზე. ამ კლუბში დაარსდება სხვადასხვა წრეები; საამისო ძალა უკვე არის. იმედია, განათ. კომისარიატი და სტ. აღმასებიური მიაქცევს ამას ყურადღებას და ეხლივე შეუდგება ამ საკეთილდღეო საქმეს, რომ სექტემბრიდან (სამოსწავლო წლიდან) მაინც იქნეს გახსნილი კლუბი.

მუშის შვილი გოგებაშვილი.

მოგვაშორეთ მოქეიფე ხალხი

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ).

დაიდიანის ქუჩა № 6, ჩვენს ეზოში ერია ერთი ასეთი ბინა. ეს სამიკიტნო პატარაა, მაგრამ მას აქვს უკან ბაღი, რომელიც არის საქეიფოდ მორთული. აქ დადის მოქეიფე ხალხი და მთელი ღამის 3 საათამდე არის ერთი აურზაური. ჩვენ წითელარმიელებს არ გვაძლევენ ძილს. აბეს საჭიროა მიაქციოს ყურადღება მილიციამ და ალაგმოს ეს ლოთები.

წითელარმიელი ნინუაკუთხელი.

ხელოვნება

მოვავალი სეზონი ყოთელ თეატრში

სეზონი გაიხსნება 1-ლ ნოემბერს.—თეატრის კლასიური ბასიათი.—განახლებული რეპერტუარი.—დადგმული იქნება რამოდენიმე ახალი ორიგინალური პიესა.—დასი შევსებული პრიმადონალი მსახიობებით.—ყარგოდგენები გაიმართება სახალხო სახლში და სახელმწიფო ოპერაში.—

მომავალ სეზონში პროლეტკულტის წითელი თეატრი დაჩრება ისევე მუშათა კლასიურ თეატრათ. იგი იქნება მშრომელთა კლასიური და რევოლიუციონური ყოფა-ცხოვრების ვამომხატველი.

თეატრის მიზანია შექმნას და განამტკიცოს ნამდვილი პროლეტარული თეატრი, სადაც მოცემული იქნება თანამედროვე ცხოვრების ნამდვილი მაგალითები.

თეატრი თავისი მიმართულებით იქნება წმინდა რეალისტური. მიღებულია ზომები, რომ დაცული იქნეს ეს ხაზი ყველა დადგმებში.

რეპერტუარი.

რეპერტუარის საკითხი საერთოდ მეტათ მწვავეა ამ სდგას საქართველოში; ეს სიმწვავე განსაკუთრებით საგრძნობია ყოთელ თეატრში, რადგან ის წმინდა პროლეტარული თეატრია, მისი შესაფერი რეპერტუარი კი საქართველოში ჯერჯერობით არ მოიპოვება.

ამიტომ თეატრი პირველ ხანებში თავს ვერ ვალდებულებ ნათარგმნ პიესებს. მიღებულია ზომები სარეპერტუარო კრიზისის გადასალახავად და ახალი ორიგინალური ქართული რეპერტუარის შესაქმნელათ.

პირველ რიგში გადაწყვეტილია დაიწეროს პიესა 1905 წლის მოძრაობის ისტორიიდან; დაგროვილი მასალების დამუშავება მინდობილი აქვს რამოდენიმე კაცს—კოლექტიურათ.

ამას გარდა წითელი თეატრის დაეალებით ამხ. ბუხნიკაშვილი სწერს კომედიას და დრამას თანამედროვე ყოფა-ცხოვრებიდან.

ორიგინალური პიესებიდან განზრახულია დაიდგას „ვინ არის დამნაშავე“— ნინო ნაკაშიძისა, „ნომერი ოცდაერთი ჯერ-ით“—ია ეკალაძისა და აზიანის ახალი კომედია „წინანი ოკან, უკანანი წინ“.

თარგმნილი პიესებიდან პირველ რიგში დაიდგმება რომენ როლანის „დანტონი“; შემდეგ „მანდატი“— მეიერხოლდის თეატრის რეპერტუარიდან; პიესას სთარგმნის შალვა დადიანი, ჯეკ ლონდონის „ზგელთა სულები“ და სხვა.

დასი.

წითელ თეატრში რჩება პროლეტკულტის ყოფილი სტუდიის ძველი შემადგენლობა. ამასთანავე ეს დასი შევსებული იქნება პროფესიონალი მსახიობებით.

გადაწყვეტილია მოწვეული იქნეს: ტასო აბაშიძე, ცეცილია წუწუნავა და სესილია თაყაიშვილი (სახელმწიფო დრამატიული სტუდიიდან).

ვაუტიდან განზრახულია მოწვეული იქნეს მიშა ჭიაურელი და ოთი კაცი სახელმწიფო დრამატიული სტუდიიდან.

სამხატვრო ნაწილი.

წითელი თეატრის რეჟისორებათ მოწვეული არიან ალ. წუწუნავა და ვახტანგ გარრიკი. ამასთანავე მოლაპარაკება სწარმოებს მხატვარ ვლ. სიდამონ-ერასთავთან მის მოსაწვევათ წითელ თეატრში.

მუსიკალური განყოფილების ვამგეთ მოწვეული იქნება ახალგაზრდა კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე. დადგმების მხატვრული ხარის ვაძლიერების მიზნით, განზრახულია სამხატვრო კომისიაში სამუშაოთ მოწვეული იქნეს ორტისტი მოქანდაკე მიშა ჭიაურელი.

სეზონი გაიხსნება 1-ლ ნოემბერს.

წარმოდგენები გაიმართება კვირაში ორჯერ სახალხო სახლში. ამას ვარდა თვეში ორჯერ წარმოდგენები გაიმართება სახელმწიფო ოპერის სცენაზე.

მუშათა უბნებთან და ფართო მასებთან დაახლოვების მიზნით, ყველა დადგმები ვადატანილი იქნება მუშათა უბნებში (ნაძალადევი, ავლაბარი და სხვა).

ზ.—ა.

— ირმა დუნკანის გასტროლი. ამ დღეებში თბილისში ვაიმართება მოსკოვის სამხატვრო აკადემიური სტუდიის გასტროლები ირისტრა დუნკანის ასულის ირმა დუნკანის ხელმძღვანელობით.

— ბალეტის საღამოები. თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ბალეტმეისტერი ვიატოვსკი, რომელიც შეადგენს ბაკოსა და თბილისის ძალებით ბალეტის მსახიობთა კოლექტივს და ორიოე ქალაქებში გამართავს საბალეტო საღამოებს.

შემთხვევები

— დაჭრა. 2 აგვისტოს, ორტილერიის ჭეზაზე მოქ. გრიგოლ წირქვაძემ დანით დ სტრა ლეზა მოსესოვი. დამნაშავე შეიპყრეს

— ცეცხლი. 2 აგვისტოს კარლ მარქსის მოედანზე საბჭოთა სახლს-გაჭნდა ცეცხლი. დაიწვა მთელი ზემო სართული. ზარალი გამოუანგარიშებელია.

— თავდასხმა. 19 ივლისს, ღამით, სოფ. უჯარმაში სტეფან ტრესტის განყოფილებას დაესხენ და წაიღეს 420 მანეთი. ეჭვით დაპატიმრებულია რამოდენიმე კაცი.

— ქურდი ცოლი. 1 აგვისტოს, ელისაბედის ქ. № 117 მოქ. გიორგი საბანაძე გაქურდა მისმა ცოლმა მარიამმა, რომელმაც წაიღო 200 მანეთის ნივთები.

— შეპყრობა. 1 აგვისტოს, სამლებროს ქ. № 15 გაქურდეს შამედ ალი მასუდავი. ქურდი ელენე კირილოვისა შეიპყრეს.

— ქარხნის საწყობიდან. 1 აგვისტოს გაქურდეს 26 კომუნარების ქარხნის საწყობი.

— ქურდობა. 1 აგვისტოს ბატარეის ქ. № 8 მოქ. კლიმოვის ბინიდან წაიღეს 145 მანეთის ნივთები.

— ამავე დღეს, სემიონოვის ქ. № 28 მოქ. იოსებ ხმალაძეს მოჰპარეს 100 მანეთის ნივთები.

სოფლად

ქ. ჩოხატაურის საშუალო სასწავლებლის შესახებ

(განათლების სახკომატის საყურადღებოდ)

ამ რამდენიმე წლის წინად ჩოხატაურის ადგილობრივმა გლეხობამ საკუთარ ხარჯით შეიასყიდა ყოფილი ერისთავის სასახლე—ორსართულიანი ქვითკირის შენობა—კარგა მოზრდილი ეზოთი, საშუალო სასწავლებლის დაარსების მიზნით. აღმოსავლეთი გურიის სწავლის მოსურნე გლეხობას ბედმა გაუღიმა, და თავისი აქტიურ ღონისძიებათა წყალობით თუ მთავრობის დახმარებით, აქ დაარსებულ იქნა საშუალო ტიპის სკოლა. ამან ადგილობრივ ახალგაზრდობას საშუალება მისცა, მცირე მატერიალურ საღსრის გაღებით, მიეღო საშუალო განათლება.

მაგრამ, დაეკი უბედურებას, რამაც ჩოხატაურელები სასოწარკვეთილებაში ჩაგდო: ჯერ კიდევ წარსული წლიდან აღნიშნული შენობის კორპუსს რაღაც დაეტყო. კედლები გაიწ-გამოიწია, ბურჯები ნაწილობრივ იშლებოდნენ, სვეტები და აივნები, სიდამპლის გამო, სრულიად ჩაიშალნენ. ერთი სიტყვით შენობა საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა. მიუხედავათ ამისა გასულ სამოსწავლო წლის პერიოდში მეცადინეობა არ შეწყვეტილა და მოსწავლეები მასწავლებლებიურთ თითქოს ანთებულ ვულკანზე მეცადინეობდნენ.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მომავალ სამოსწავლო პერიოდიდან ხსენებულ შენობაში მეცადინეობა ყოველად შეუძლებელია. ეს დაადასტურა აგრეთვე ინჟენერმა ჩეხოვმა, რომელმაც შემთხვევით ინახულა სახლი.

აუცილებელი და გადაუდებელია ფინანსიური დახმარება მთავრობის მხრივ შენობის კაპიტალური რემონტის ხარჯებისათვის.

ადგილობრივ დაწესებულებებს და გლეხობას არ გააჩნიათ არავითარი საღსარი, რომ საქმეს უშველონ. 9 წლიდან გამგის მიერ ადგილ. საბჭოსთან შეთანხმებით უკვე აღძრულია შუამდგომლობა საშაზრო აღმასკომის და განათლების ინსპექციის წინაშე) მაგრამ დრო არ იცდის და საქმე კი იგვიანებს. სწავლის სეზონის გახსნამდე არც ისე დიდი ხანია. თუ შენობა არ იქნა შეკეთებული აშკარაა, რომ ჩოხატაურის 9 წლედი უნდა მოიხსნას, რაც გამოიწვევს 550—600 მოწაფის სკოლის გარეშე დარჩენას.

უნდა გვახსოვდეს, რომ გურია საქართველოს ერთი იმ მხარეთაგანია, სადაც სწავლა-განათლება მოსახლეობის უდიდეს სულიერ მოთხოვნილებათ არის გადაქცეული. შეუმცირე ჩვენს გლეხობას ნივთიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყარო, ამას ის ადვილად შეურიგდება, ხოლო სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას-კი ვერ აიტანს.

თუ კი გურიის რომელიმე კუთხე საჭიროებს საშუალო ტიპის სკოლას, ეს აუცილებლათ, მეორე რიგში მაინც, ითქმის ჩოხატაურზე.

აქ არსებული 9 წლედით, გარდა ჩოხატაურში შემავალ მრავალ რაცხოვან თემებისა, აგრეთვე სარგებლობენ სხვა რაიონების მცხოვრებნი, რომელნიც აქედან ცხრაწლედის მოხსნის შემთხვევაში იძულებულნი იქნებიან თავიანთი შვილები სკოლის გარეშე დასტოვონ, თავიანთ უზომო სიღარიბის გამო.

დღეს მთელი აღმოსავლეთი გურიის ღარიბი გლეხობა სასოწარკვეთილებით, უმწეოთ შეჰყურებს თავის განათლების ტაძრის ნგრევას და მშრომელების მეგბარახტრეს საბჭოთა ხელისუფლებას—სრულიად დაიმედებული სთხოვს დახმარებას.

ერბურ.

ნიალვარმა წაილო ჩვენი გლეხების სარჩო-საბადებელი

24-ს და 25 ივლისს ნაგომრის რაიონში (გურია) „სისხლის წვიმა“ მოვიდა.

გლეხები შესაკერეანან შორიდან მთი შრომის ნაყოფის დაღუპვას, მაგრამ ძალა არ შესწევთ რამე უშველონ!..

ნაგომრის რაიონი საშინელ სანახაობას წარმოადგენს.

მნახველი იფიქრებს, რომ აქ არას დროს ნათესები არ ყოფილაო.

სრულიად განადგურებულია 3—4 ათას დესეტინამდე ნათესები, რომელიც გლეხებს მისცემდა მოსავალს 300.000 ფუთამდე სიმინდს.

ამ რაიონში ერთად-ერთი შემოსავლის წყარო არის სიმინდი და დღეს ამ საშინელმა წყალდიდობამ გაანადგურა ჩვენი გლეხები და ხელცარიელი დატოვა ისინი.

ეს რაიონი ისედაც ღარიბი არის ეკონომიურათ. მოსახლეობის 90 პროც. იანვრიდან ყიდულობდა სიმინდს და ისეთ პირობებში მყოფთ მაინც უჭირდათ ცხოვრება და ეხლა ცეცხლზედ ნავთი გადესხა. მოსახლეობა 10-15 პროც.—ხელით და მცენარეებით იკვებებიან, რასაც შეუძლია გადამდები სენი გაავრცელოს.

საჭიროა, რათა სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული სიმინდის შეღავათიან ფასებში მოსაწოდებლათ (ფუთი 2 მანეთიდან 3 მანეთამდე ფასობს.) და უკიდურეს ღარიბებზე სათანადო დახმარების აღმოსაჩენად.

ამ რაიონში აგრეთვე განადგურებულია წისქვილები, ხიდეები ბოგირები, გზატკეცილები და სხ. რომლის აღდგენას სჭირია რამდენიმე ათასი მანეთი.

ადგილობრივ სამაზრო ხელისუფლებას არავითარი საღსარი აღარ აქვს სხვას დაეხმაროს, ამიტომ საჭიროა ამ საქმეზე ცენტრალური მთავრობის ჯეროვანი ყურადღება.

ქ. უჯმაჯურიძე.

წერილებიდან

შუასურების თემი (ოზურგეთის მაზრა). 1924 წ. შუასურების თემის საბჭოთა აფთიაქის გამგეთ დანიშნეს ბაკმეადძის ყოფილი ცოლი ვინმე რამიშვილის ქალი, რომელიც წურბელასავით სისხლს სწოვს საწყალ მშრომელ მოსახლეობას. ის ეწევა სპეკულიაციას, კავშირი აქვს მსხვილ მსხვილ სპეკულიანტებთანაც, რომლებიც აწოდებენ მას სხვა და სხვა ძვირფას საქონელს შევიოტს, აბრეშუმეულობას, ჩულქებს ლორიკანებს და მოკგებით ასაღებს ადგილობრივ მცხოვრებლებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ქალბატონი ეკმოიზასაკ ზომულობს; სინჯავს ავადმყოფებს, თვით უწერს წამალს და სხვ. ხალხში არის მითქმა-მოთქმა იმის შესახებაც, რომ ის ბავშვებს აწყვეტს ქალებსო. საჭიროა ოზურგეთის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ მიიღოს ზომები და თავიდან მოგვაშოროს ხალხს გაუმაძღარი ზეწრებელი.

მოთხრელი.

ს. ცხემლის ხიდი (დაბახეს თემი). აქ სასწავლებლისათვის შენდება დიდი შენობა. ამ რამდენიმე თვის წინად საალმშენებლო კომისიის თანხლებით მოწვეული იყო საზოგადო კრება, რომელზედაც დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ „მომზდარი ბოროტმოქმედება და ქურდობა. გაბნეულია სკოლისათვის საჭირო მასალები: ხე, ძეგლები, ცემენტი, აგური და სხვა“. ამ საკმის გამოსარკვევად კრების მიერ გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია. უკვე სუთი თვე გადის ამ კომისიის ამორჩევის შემდეგ და მან რა დასკვნა გამოიტანა ამ საქმეზე, საზოგადოებამ არაფერი იცის. თუ მართლაც რაიმე ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი, რას უყურებს კომისია და რისთვის არ ამხელს დამნაშავეთ?

კერკეტი.

უსაფუძვლო ბრალდება

ბაზ. „კომუნისტი“ № 152 მოთავსებული იყო კორესპონდენცია ს. მეზრანის თემაღმასკომის თავმჯდომარის, ამხ. ბერბიჭაშვილის წინააღმდეგ. კორესპონდენციის ავტორი გორდელაძე ბრალს სდებდა ამხ. ბერბიჭაშვილს კოოპერატივისადმი უყურადღებობაში, ბაღის მითვისებაში, სოფლის ჩარჩ-ვაჭრებთან კავშირში და სხვ.

დუშეთის სამაზრო პარტ. კომიტეტმა და აღმასკომმა მაშინვე მიაქცია ამ ბრალდებებს ყურადღება და გამოჰყო საგანგებო კომისია საქმის გასარკვევად. კვლევა-ძიების შემდეგ კომისია მივიდა იმ დასკვნამდი, რომ კორესპონდენციაში წამოყენებული ყველა ბრალდებები სიმართლეს მოკლებულია და ამხ. ბერბიჭაშვილი კეთილსინდისიერი და უანგარო სოფლის მუშაკია, რომელსაც არაფრით არ დაუსაბუთებია მზგავსი ცილისწამება.

კომისიის წევრები 1. ჯაფარიძე, 2. მამალაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 36

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

ყოფილი „შავიზღვის რკინის გზის საზოგადოების“ ქონების „შავიზღვის რკინის გზის საალმშენებლო სამმართველოსათვის“ გადაცემის შესახებ.

შავიზღვის რკინისგზის შენების განახლების გამო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე ქონებული ყოფილი შავიზღვის რკინის გზის საალმშენებლო საზოგადოების ქონება, რაგვარი ქონებაც უნდა იყოს (შენობა, ნაგებობა, ინვენტარი, პროექტი, ხარჯთაღრიცხვა, ყოველგვარი მიწერ-მოწერა და სხვ.) და ვის გამგებლობასა და სარგებლობაშიაც უნდა იყოს იგი,

2. დაგვლოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას და საწარმოოს, რომელსაც კი სადგომი უჭირავს შავიზღვის რკინის გზის საალმშენებლო სამმართველოსათვის, ამა დადგენილების 1-ლი მუხ. თანახმად, გადასცემ შენობაში, გაანთავისუფლოს ეს სადგომი ორი თვის ვადაზე.

3. უფლება მიეცეს შავიზღვის რკინის გზის საალმშენებლო სამმართველოს—გამოასახლოს ხოლმე მისთვის. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, გადასცემ შენობებიდან კერძო პირნი, დაწესებულებანი და საწარმოონი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. თებერვლის 2-ს დადგენილებაში (ა | კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1925 წ. № 2-ში მუხ. 360) გათვალისწინებული წესისამგარ.

4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა წინადადება უნდა მისცენ მიწათმოქმედების ორგანოებს—გადასცენ უმოკლეს ვადაზე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწის კოდექსის 103 მუხ. თანახმად, შავიზღვის რკინის გზის საალმშენებლო სამმართველოს ყოფილი შავიზღვის რკინის გზის საალმშენებლო საზოგადოებისათვის განსაცვისების წესისამებრ მიზომილი მიწები, აგრეთვე აღნიშნული სამმართველოს განკარგულების მიხედვით მოთხდინონ ახალი მიზომვა და ჩამორთმევა მიწებისა მიწის კოდექსის 115 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საამისოდ მომქმედ კანონმდებლობაში.

5. ყველა დაწესებულებამ და საწარმოომ, რომლის გამგებლობაშიაც ან სარგებლობაში იყო როდისმე ან ამ ეამად არის ყოფილი შავიზღვის რკინის გზის საზოგადოების ქონება და ინვენტარი, შენობათა გამოკლებით, უნდა გაუგზავნოს ორი კვირის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, შავიზღვის რკინისგზის საალმშენებლო სამმართველოს ქონებისა და ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები და აგრეთვე დაწერილებითი სიები,—ხოლო აქტები შენობების შესახებ გაუგზავნოს მე-2 მუხ. აღნიშნული ორი თვის ვადის გასვლისას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: ს. თოდრია.

1925 წ. ივლისის 16.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა ჯალენდარი

პარასკევს, 7 აგვისტოს

მორიგი ერთიანი პარტიული დღეა.

დღის წესრიგი უნდა გამოიმუშაონ თვით კომიტეტებმა.

თ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

დღეს, 4 აგვისტოს, დილის 10 ს. თ. კ. სამდივნოში მოწვეულია

თ. კ. პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

თ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

— კომკავშირის თ. კ. საგ. განყოფილება იუწყება: დღეს, 4 აგვისტოს, სწორედ დღის 2 ს. შესდგება აგიტკოლეგიის სხდომა.

იმ ამხანაგებს, ვინც განცხადება მისცეს უმაღ. სასწ. და სხვა სასწავლებლებში გაგზავნის შესახებ, წინადადება ეძლევათ გამოეცხადდენ აღნიშნულ დროს. ეს არ შეეხება მხოლოდ კომ. უმაღ. სასწ. და საბ. პარტსკოლებში გასაგზავნებს.

გამგე ხუციშვილი.

ქალაქის რაიკომის ყველა კომუნისტის .ბ | მ. მდივნებს

5 აგვისტოს ა. წ. საღამოს სრულ 6 საათზე ქალაქის რაიკომის ბინაზე მოწვეულია რაიშეფსაბჭოს სხდომა სადაც ადგილებიდან წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა. ამისთვის ქალაქის რაიკომი წინადადებას გაძლევთ, რათა აღნიშნულ დროს თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ რაიშეფსაბჭოს სხდომაზე გამოგზავნოთ საშეფო კომისიის თავმჯდომარე ან წევრი; უჯრედებს, რომელთაც არა ჰყავთ საშეფო კომისია, ევალებათ გამოგზავნონ წარმომადგენელი

რაიკომის მდივნის მაგ. აკოფოვი
რაიშეფსაბჭოს თავმჯდომარე—მაისურაძე
მდივანი—საღირაშვილი

— ს. კ. ბ. ცეკას საალ. განგ. განყ. სთხოვს ამხ. სიმონ ნიკოლოზის ძე ლაზარაშვილს გამოცხადდეს ცეკას საალ. განგ. განყოფილებაში.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართულ მუშფაკის კომუჯრედების გაერთიანებული ბიურო აუწყებს ქართულ მუშფაკის კომუჯრედის წევრს ამხ. გიორგი ლომიძეს 5 აგვისტოს (სრულ 5 საათზე) გამოცხადდეს მუშფაკის შენობაში კომუჯრედების ბიუროს სხდომაზე.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის და მასთან არსებულ ქართულ მუშფაკის კომუჯრედის გაერთიანებული ბიურო აცხადებს, რომ 5 აგვისტოს, ოთხშაბათს, ქართულ მუშფაკის შენობაში (სამოსწავლო შესახვევი № 4—2, შესდგება (სრულ 5 საათზე) ქართულ მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების ბიუროს გაერთიანებული მორიგი სხდომა. ქართულ მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების ბიუროს წევრები და კანდიდატები, რომლებიც არიან დარჩენილი ქალაქ თბილისში და მიმაგრებული ზემოხსენებულ უჯრედებზე პარტ. დისციპლინის წესით უნდა გამოცხადდენ სრულ 5 საათზე დანიშნულ ადგილას დაუგვიანებლად.

განცხადებები

მეუღლე ეკატერინეზედ გელოვანი-ჩხატარაიშვილისა, მშობლებითურთ, აუწყებს ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 5 აგვისტოს ს. შემოქმედში (ოზურგეთის მაზრა) ჯვარის ეკლესიაში, გადახდილ იქნება

გიორგი მიხეილის ძე ჩხატარაიშვილის

ერთი წლის თავის პანაშვიდი. 2146 1—1

ღრმად დამწუხრებულნი დედ-მამა ნორა სეევერიანის ასული და დიმიტრი გრიგორის ძე, ბებო მაკა მეაეიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი შვილის

პატარა ნათელას

უდროოთ დაკარგვას ქ. თელავში 15 აგვისტოს საღამოს 9 საათზე. დაკრძალვა ქ. თელავში. 2147 1—1

ღრმად დამწუხრებული ცოლი ალინკა კონსტანტინეს ასული ... ციკიძე, შაცოლა მართა დავითის ასული, სიმამრ კონსტანტინ ალეფეზის ძე და ცოლის ძმა ვარლამ კონსტანტინეს ძე ... აუწყებენ ნათესავებს და ... ვასილ ივანეს ძე ... უდროოთ გარდაცვალებას. დასაფლავება—მიდგება ... ავგისტოს, დღის 3 საათზე. ცხედრის გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან წმინდა ნინოს სასაფლაოზე 6. 1578 1—1

თეატრი და ცხოვრება“

შეჩერებულია. მოკლე ხანში გამოვა და ყველა ხელისმომწერი დაკმაყოფილდება. წერილები და ფული გამოიგზავნება რედაქციის სახელზე: თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. „თეატრი და ცხოვრება“-ს აგენტებმა ყოველივე ანგარიში დროზე წარმოადგინონ, რათა „ცხოვრების სარკე“-ს მეჯდა არ დაკარგოდეს

იოსებ იმედაშვილი